



შინაგანაწესი, დანართი №13

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-01 03.01.2023

რექტორი  კ. ჯვედელიძე



სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სტაჟირების ორგანიზების  
წესი

ნდ №2-010102/13

ბათუმი  
2023

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში – ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი) თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სტაჟირების მიმართულებით;
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულებების საფუძველზე;
3. წინამდებარე წესი არეგულირებს ბნსუ-ში და ბნსუ-ს მიერ გაცვლითი პროგრამების და სტაჟირების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

**მუხლი 2. საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამა. გადაწყვეტილება გაცვლითი პროგრამის განხორციელების შესახებ**

1. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ბნსუ-ს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (შემდგომში - პარტნიორი-უსდ ან დაწესებულება) შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
2. პარტნიორი უსდ-ებისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სხვა პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნები და პარტნიორ უსდ-ში გაცვლითი პროგრამის განხორციელების წესები;
3. ბნსუ ვალდებულია უცხო ქვეყნის უსდ-სთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უსდ-ს ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ;
4. გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტი არის ბნსუ-ს ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული პარტნიორი დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ დაწესებულებაში.
5. უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი:
  1. ბნსუ-ს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში;
  2. ბნსუ-ში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, ბნსუ-ს რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.
6. ბნსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი:
  1. უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  2. დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება.
7. პარტნიორ დაწესებულებაში გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად სტუდენტის გაგზავნა ხდება რექტორის ბრძანებით.
8. გაცვლითი პროგრამის ეტაპები:
  1. მოსამზადებელი ეტაპი: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან წერილობითი ინფორმაციის მიღება აღნიშნული უსდ-ს ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ; ბნსუ-ს და პარტნიორ დაწესებულებას შორის შეთანხმების გაფორმება; ბნსუ-ს აკადემიური სამსახურის მიერ გაცვლითი პროგრამის აღწერილობის დამტკიცება; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ბნსუ-ს მიერ კონკრეტული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შესაძლებლობის დადასტურების მიღება; გაცვლითი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის კონკურსის ჩატარება; პარტნიორ დაწესებულებაში გასაგზავნი დოკუმენტების მომზადება და გაგზავნა; პროგრამის ხელმძღვანელის და სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; ბრძანების გამოცემა გაცვლითი პროგრამაში მონაწილე სტუდენტების პარტნიორ დაწესებულებაში გამგზავრების შესახებ.
  2. პარტნიორ დაწესებულებაში გამგზავრება, სწავლა, სწავლის დასრულება;
  3. პარტნიორ დაწესებულებაში შესწავლილი კომპონენტების, მიღებული კრედიტებისა და შეფასებების შესახებ ინფორმაციის ბნსუ-ში წარდგენა და ბნსუ-ს მიერ პარტნიორ დაწესებულებაში მიღებული კრედიტებისა და შეფასებების აღიარება.
9. გაცვლითი პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ბნსუ-ს ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი: განსაზღვრვენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს, რომლებთანაც მიზანშეწონილია კონკრეტული გაცვლითი პროგრამის განხორციელება; განიხილავენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უსდ-ს წინადადებას/შეთავაზებას გაცვლითი პროგრამის განხორციელების შესახებ;
10. გაცვლითი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება: გაცვლითი პროგრამის აქტუალობა და განხორციელების საჭიროება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების შესაბამისობა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და დაგეგმილ შედეგებთან შესაბამისობა, ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და ბნსუ-ს პარტნიორი დაწესებულებების/ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებები, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობა და სხვ.;
11. გაცვლითი პროგრამის შემუშავებას და შესაბამისი შეთანხმების გაფორმებას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი, ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, იურისტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტები – აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. სამუშაო პროცესში ხდება გაცვლითი პროგრამის დეტალების დაზუსტება, საქართველოს და პარტნიორი უსდ-ს ქვეყნის კანონმდებლობისა და დაწესებულებებში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად საბაზო მოთხოვნების ჩამოყალიბება – პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლების ენა, სწავლების ხანგრძლივობა, პროგრამის მოცულობა

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №13			
ნდ №2-010102/13	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	2-8

კრედიტებში, კრედიტის მოცულობა ასტრონომიულ საათებში, სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა და წესი, პროგრამის სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების და შეფასებების აღიარება და სხვ. კრედიტების აღიარების მექანიზმები უნდა იყოს დაფუძნებული ან თავსებადი ECTS-სთან. შესაძლებელია, რომ პარტნიორ უსდ-ში, როგორც შეფასების, ასევე საკრედიტო სისტემაზე განსხვავებული იყოს საქართველოში მოქმედი სისტემისგან. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია წინასწარ დადგინდეს თავსებადობა აღნიშნულ სისტემებს შორის. გაცვლითი პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება გაცვლითი პროგრამის აღწერილობა - ხანგრძლივობა, შესასწავლი კომპონენტები, შეფასებებისა და კრედიტების აღიარების წესი და სხვ.;

12. გაცვლითი პროგრამის განხორციელების საფუძველია საქართველოს და პარტნიორი უსდ-(ებ)ის ქვეყნ(ებ)ის კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, გაცვლით პროგრამებზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობებზე, გაცვლითი პროგრამის შინაარსზე შეთანხმება და სხვ., რაც გათვალისწინებულია ბნსუ-სა და პარტნიორ უსდ-ს შორის დადებული ოფიციალური ხელმოწერილი კონტრაქტით/შეთანხმებით, რომლითაც პარტნიორი უსდ-(ებ)ი იღებენ ვალდებულებას გაცვლითი პროგრამის განხორციელებაზე;

13. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უსდ-ში მიღებული განათლება, კრედიტები და სტუდენტის მიღწევების შეფასებები უნდა იყოს აღიარებული. ამ მიზნით, ბნსუ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და წარადგენს შესაბამის დოკუმენტებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ბნსუ-ს მიერ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შესაძლებლობის მიღების მიზნით;

14. გაცვლითი პროგრამის განხორციელების მიზნით გაფორმებული შეთანხმების გაუქმება იწვევს გაცვლითი პროგრამის გაუქმებას.

**მუხლი 3. სტუდენტების სტაჟირება. გადაწყვეტილება სტუდენტთა სტაჟირების შესახებ**

1. სტუდენტთა სტაჟირება შეიძლება იყოს ადგილობრივ (საქართველოში განხორციელებული) ან საერთაშორისო (უცხოეთში განხორციელებული) და სტაჟირება ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბების და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით ბნსუ-სა და პარტნიორ ორგანიზაცია/დაწესებულებას შორის დადებული შეთანხმების/მემორანდუმის/სხვ. საფუძველზე;

2. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება ბნსუ-ს და პარტნიორი დაწესებულების შეთანხმებით და შეიძლება იყოს მოკლევადიანი (ერთი/რამდენიმე კვირა) და გრძელვადიანი (რამდენიმე თვე);

3. სტაჟირების დასრულების შემდეგ აუცილებელია სტაჟირების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის (სერტიფიკატი, ცნობა, მოწმობა, სხვ.) ბნსუ-ში წარდგენა;

4. სტაჟირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ბნსუ-ს ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი: განსაზღვრავენ სტაჟირების გავლის ობიექტებს, რომლებშიც მიზანშეწონილია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის სტაჟირების გავლა; განიხილავენ უცხო ქვეყნის დაწესებულების/ორგანიზაციის წინადადებას/შეთავაზებას: პარტნიორ დაწესებულებაში ბნსუ-ს სტუდენტების სტაჟირების გავლის მონაწილეობის შესაძლებლობებს, სხვა არსებით დეტალებს;

5. ბნსუ-ს სტუდენტს შეუძლია თავად მოიძიოს მისთვის სასურველი სტაჟირება. პერსონალური მოწვევის მიღების შემდეგ, მან უნდა მიმართოს ბნსუ-ს რექტორს და წარმოადგინოს: განცხადება სტაჟირებაზე გაგზავნის თხოვნით, პერსონალური მოწვევა, სტაჟირების პირობების აღწერა და სამოტივაციო წერილი. გადაწყვეტილება მიიღება რექტორის მიერ ფაკულტეტის დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე;

6. სტაჟირების მიზანშეწონილობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება სტაჟირების აქტუალობა, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის მიზნებთან და დაგეგმილ შედეგებთან შესაბამისობა, შრომის და განათლების ბაზარზე სტუდენტთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობა და სხვ. სტაჟირების გეგმის შემუშავებას და შესაბამისი შეთანხმების გაფორმებას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო პროცესში ხდება სტაჟირების დეტალების დაზუსტება (დაშვების წინაპირობები, სტაჟირების ხანგრძლივობა, განხორციელების ენა და სხვ.). სტაჟირების შინაარსი და თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებას, მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს;

7. სტაჟირების დასრულებისთანავე სტუდენტი ვალდებულია ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ და მიმღები დაწესებულების მიერ დამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, მოწმობა, ცნობა, სხვ.);

8. სტუდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით/გადაწყვეტილებით უცხოეთში სწავლა ან სტაჟირების გავლა მიიჩნევა პირის კერძო ინიციატივად. ასეთი აქტივობა შეიძლება განხორციელდეს არდადეგების პერიოდში, სხვა შემთხვევაში მოხდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

**მუხლი 4. გაცვლით პროგრამაში და სტაჟირებებში მონაწილე სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები**

1. გაცვლითი პროგრამით/სტაჟირებით დაინტერესებული სტუდენტი ვალდებულია - გაეცნოს ინფორმაციას პროგრამის/სტაჟირების შესახებ; დროულად და სრულად წარმოადგინოს საკონკურსო აპლიკაცია და მოთხოვნილი დოკუმენტები და გამოცხადდეს გასაუბრებაზე; დროულად და სრულად დაფაროს გაცვლით პროგრამასთან/სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები (თუ ეს გათვალისწინებულია პროგრამის/სტაჟირების პირობებით; აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს ცნობილი კონკურსის გამოცხადების ეტაპზე); შესარულოს პროგრამის/სტაჟირების მოთხოვნები და პარტნიორ დაწესებულებაში მოქმედი წესები; დაიცვას პარტნიორი დაწესებულების მიერ დადგენილი ვადები, დროულად და სრულად მიაწოდოს საჭირო საბუთები და ინფორმაცია; პარტნიორ დაწესებულებაში ყოფნის ვადის ცვლილების შემთხვევაში, წერილობით აცნობოს ბნსუ-ს ფაკულტეტის დეკანს და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და წარმოადგინოს პარტნიორი დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი; არაუმეტეს 5 დღეში, მოახდინოს ბნსუ-ს და პარტნიორი დაწესებულების ინფორმირება ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ვადამდე შეწყვეტა/დასრულება;

2. გაცვლითი პროგრამით/სტაჟირებით დაინტერესებულ სტუდენტს აქვს უფლება - დროულად და სრულად მიიღოს ინფორმაცია პარტნიორი დაწესებულებისა და პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის/სტაჟირების თავისებურებების შესახებ; მიიღოს კონსულტაციები პარტნიორ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში; მოითხოვოს პარტნიორ დაწესებულებაში ხარისხიანი

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №13		
ნდ №2-010102/13	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023
		3-8

განათლების მიღება / სრულფასოვანი სტაჟირების გავლა; გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში, მოითხოვოს ბნსუ-ს მიერ წინასწარ დადგენილი წესით გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და შეფასებების აღიარება; მოითხოვოს შეთანხმების/ხელშეკრულების შესრულება, თავისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა;

3. ბნსუ აქვს უფლება - ჩაატაროს შესაჩვევი კონკურსი პროგრამის/სტაჟირების მიზნებისათვის და მოითხოვოს სააპლიკაციო დოკუმენტების სრულად და დროულად წარდგენა; პროგრამის/სტაჟირების წინაპირობების არასათანადოდ შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უარი უთხრას პროგრამაში/სტაჟირებაში მონაწილეობაზე და მოახდინოს ამის შესახებ პარტნიორი დაწესებულების ინფორმირება;

4. ბნსუ ვალდებულია - უზრუნველყოს ინფორმაციის საჯაროობა, შესარჩევი კონკურსების სამართლიანობა და გამჭვირვალობა; ჩაატაროს კონსულტაციები გაცვლით პროგრამასთან/სტაჟირებასთან, პარტნიორ დაწესებულებაში მოქმედ წესებთან და პარტნიორი დაწესებულების ქვეყანაში მოქმედ წესებთან დაკავშირებით; უზრუნველყოს სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება და შესარჩევი კონკურსის სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარება; დროულად გამოცეს ბრძანება გაცვლით პროგრამაში/სტაჟირებაში მონაწილე პირთა პარტნიორ-დაწესებულებაში გამგზავრებასთან დაკავშირებით; სათანადოდ უზრუნველყოს გაცვლითი პროგრამის/ სტაჟირების განხორციელების ყველა ეტაპის ორგანიზება; დროულად უზრუნველყოს პარტნიორ დაწესებულებაში გაცვლით პროგრამაში/სტაჟირებაში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნა; დროულად და სრულად მოახდინოს დაინტერესებულ პირთა ინფორმირება გაცვლითი პროგრამის/სტაჟირების გეგმაში შესული/დაგეგმილი ცვლილებების შესახებ; უზრუნველყოს გაცვლით პროგრამაში/სტაჟირებაში მონაწილე პირებთან უკუკავშირი და საინფორმაციო-საორგანიზაციო საკონსულტაციო მხარდაჭერა, პარტნიორ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში შექმნილი პრობლემების შესწავლა, დროული რეაგირება და პრობლემის მოგვარებაში დახმარება; შეისწავლოს პარტნიორ დაწესებულებაში სწავლებით/სტაჟირებით კმაყოფილება შესაბამისი გაცვლითი პროგრამის/სტაჟირების სრულყოფის და შემდგომში პროგრამის/სტაჟირების განხორციელების/ განხორციელებაზე უარის თქმის რეკომენდაციის შემუშავების მიზნით.

**მუხლი 5. ბნსუ-ს შესარჩევი კონკურსი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის/სტაჟირების მიზნებისთვის**

1. ბნსუ-ს პარტნიორ-დაწესებულებებში გაცვლით პროგრამებში და სტაჟირებებში მონაწილეობის უფლება აქვთ აქტიური სტატუსის მქონე ბნსუ-ს სტუდენტებს. ბნსუ უფლებამოსილია დაადგინოს კონკურსის მონაწილეობისთვის აუცილებელი აკადემიური მოსწრების დონე (GPA ან ქულა);

2. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ბნსუ-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, გარდა: ა) ბაკალავრიატის პირველი კურსის/დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა; ბ) პირველი და დამამთავრებელი სემესტრის მაგისტრანტებისა;

3. კონკურსის გამოცხადება ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის განკარგულებით ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით. ბნსუ-ში ყველა კონკურსი საჯაროა: ინფორმაცია კონკურსის და მისი ჩატარების წესის (პირობები, პროცედურები, შეფასების კრიტერიუმები, ვადები და ა.შ.) გამოქვეყნდება ბნსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. საკონკურსო განაცხადის შეტანა: გაცვლით პროგრამის/სტაჟირების შემთხვევაში შესაძლებელია უმაღლესი განათლების საფეხურის იმავე საფეხურის პროგრამაზე განაცხადის შეტანა; განაცხადის შეტანა ხდება ელექტრონული ფორმით ბნსუ-ს მისამართზე [info@bntu.edu.ge](mailto:info@bntu.edu.ge); აუცილებელია ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში და წესით საკონკურსო განაცხადებში მითითებული სავალდებულო დოკუმენტის წარდგენა ერთიანი სრული პაკეტის სახით; განიხილება მხოლოდ დათქმულ ვადაში გამოგზავნილი, სრულად შევსებული განაცხადები, რომლებიც მოიცავს ყველა სავალდებულო დოკუმენტს; აპლიკანტის მიერ გაგზავნილ განაცხადში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია ბნსუ-სთან დაკავშირება, გამოგზავნილი განაცხადის ანულირება და ახალი განაცხადის შეტანა არაუმეტეს განაცხადების შეტანისთვის დადგენილი ვადისა. პარტნიორი დაწესებულებების მიერ განსაზღვრული საკონკურსო პირობები შეიძლება დაკონკრეტდეს მისი მოთხოვნების შესაბამისად;

5. ბნსუ-ში კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი (კომისიის თავმჯდომარე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (კომისიის მდივანი), შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განმახორციელებელი ფაკულტეტ(ებ)ის დეკან(ებ)ი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი (უცხოეთის უსდ-სთან გაცვლითი პროგრამის/უცხოეთში სტაჟირების შემთხვევაში), საჭიროებისამებრ - სხვა წევრები (განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის განკარგულებით);

6. კონკურსის ძირითადი ეტაპები: 1) აპლიკაციების მიღება - მოიაზრება სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება და რეგისტრირება; 2) სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა და შერჩევა სააპლიკაციო განაცხადების განხილვის საფუძველზე - მოწმდება არის თუ არა თანდართული და სწორად შევსებული ყველა სავალდებულო დოკუმენტი, არის თუ არა სწორად გათვალისწინებული უმაღლესი განათლების საფეხურთან, სწავლების სემესტრთან და პროგრამის მიმართულებასთან, უცხო ენის ცოდნის დონესთან/სხვ. დაკავშირებული მოთხოვნები. ასევე, ამ ეტაპზე ხდება სააპლიკაციო დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის შესწავლა და აპლიკანტების ინფორმირება შედეგების შესახებ. შემდეგ ეტაპზე დაიშვებიან აპლიკანტები, რომელთა დოკუმენტები სრულად შესაბამებია მოთხოვნებს; 3) სამოტივაციო გასაუბრება (ტარდება ინდივიდუალურად თითოეულ სტუდენტთან, შეფასება ხდება ქულათა სისტემის გამოყენებით, რომელიც არის წინასწარ შემუშავებული და ცნობილი აპლიკანტისთვის) - სააპლიკაციო დოკუმენტების შეფასების შემდეგ ხდება აპლიკანტების რანჟირება ჯამური ქულების მიხედვით. შეფასების მესამე ეტაპზე (გასაუბრება) დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც გადალახეს კონკურსის მეორე ეტაპი; 4) კონკურსის შედეგების შეჯამება და გამოცხადება - ამ ეტაპზე ხდება აპლიკანტთა რანჟირება მიღებული ქულების მიხედვით. გამარჯვებულად ითვლებიან აპლიკანტები, რომლებმაც არსებული ვაკანსიების ფარგლებში დაავარდნის ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულები (ძირითადი სია). თუ რამდენიმე აპლიკანტს აქვს ტოლი შემთავაშვებული შეფასება (ქულა), მაშინ უპირატესობა ენიჭება ენობრივ კომპეტენციაში უფრო მაღალი ქულის მქონე სტუდენტს, თუ ამ შემთხვევაშიც ქულები ტოლი აღმოჩნდება - მაშინ პრიორიტეტი მიენიჭება აკადემიური მოსწრების ქულას. ამ გზით გამარჯვებული კანდიდატის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში თანაბარქულიან კანდიდატებს ჩაუტარდებათ განმეორებითი გასაუბრება. ზემოთ მითითებულ ეტაპებს ახორციელებს ბნსუ და/ან ბნსუ და პარტნიორი დაწესებულება;

7. კონკურსის შედეგების გასაჩივრება: 1) კონკურსანტს აქვს უფლება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 02 სამუშაო დღეში, ბნსუ-ში დადგენილი წესით, გასაჩივროს კონკურსის პირველი ეტაპის (სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა და შერჩევა სააპლიკაციო განაცხადების განხილვის საფუძველზე) შედეგები; 2) პრეტენზია უნდა იყოს არგუმენტირებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი. მასში უნდა იყოს მითითებული: დაინტერესებული პირის სახელი,

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №13			
ნდ №2-010102/13	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	4-8



გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი, საჩივრის შინაარსი; 3) საპრეტენზიო განცხადება უნდა დაიწეროს საპრეტენზიო კომისიის სახელზე და გაიგზავნოს ბნსუ-ს მისამართზე [info@bntu.edu.ge](mailto:info@bntu.edu.ge); საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 05 სამუშაო დღეში რექტორის ბრძანებით შექმნილი საპრეტენზიო კომისია (დაუშვებელია კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ საკონკურსო განაცხადის განხილვაში და კონკურსის ჩატარებაში მონაწილე პირები) განიხილავს შემოსულ საპრეტენზიო განცხადებას. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის ფორმით (ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი), არის საბოლოო და არაუმეტეს 5 დღის ვადაში (თუ არ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც მეტ ვადას განაპირობებენ) ეცნობება დაინტერესებულ პირს ელექტრონული ფოსტის [info@bntu.edu.ge](mailto:info@bntu.edu.ge) მეშვეობით;

8. უცხოეთის უსდ-სთან გაცვლითი პროგრამის/უცხოეთში სტაჟირების შემთხვევაში, ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური პარტნიორ დაწესებულებასთან შეთანხმებულ ვადებში (გასაჩივრების ვადის შემდეგ) უზრუნველყოფს კანდიდატების ძირითად და დამატებით სიას და მათ სააპლიკაციო დოკუმენტებს. პარტნიორი დაწესებულება, წინასწარ შეთანხმებულ ვადაში, კანდიდატთა ძირითადი სიიდან შეარჩევს გამარჯვებულ კანდიდატ(ებ)ს და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აწვდის ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს;

9. გამარჯვებული კანდიდატი ვალდებულია, არაუმეტეს 05 სამუშაო დღეში, წერილობით დაადასტუროს პარტნიორ დაწესებულებაში გამგზავრების სურვილი. გამარჯვებული კანდიდატის მიერ უარის თქმის შემთხვევაში ამ ადგილს იკავებს მომდევნო სარეიტინგო ქულის მქონე აპლიკანტი (დამატებითი სიიდან).

**მუხლი 6. ბნსუ-ში პარტნიორი დაწესებულების სტუდენტების მიღება**

1. ბნსუ-ში მისი უცხოელი პარტნიორი დაწესებულების სტუდენტების მიღება ხორციელდება ბნსუ-ს და პარტნიორ დაწესებულებას შორის დადებული შეთანხმების/მემორანდუმის/ხელშეკრულების (შემდგომში - თანამშრომლობის შეთანხმება) საფუძველზე;
2. ფაკულტეტის დეკანი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი ათანხმებენ უცხოელი პარტნიორი დაწესებულების სტუდენტების გაცვლითი პროგრამის/სტაჟირების დეტალებს. დამატებით თანხმდება ფინანსური ასპექტები/პირობები, რომლებიც დეტალურად არ არის გაწერილი თანამშრომლობის შეთანხმებაში;
3. ზემოთ მითითებული ასპექტების დაზუსტების შემდეგ პარტნიორ-დაწესებულებაში გაცვლითი პროგრამის/სტაჟირების მონაწილეს ეგზავნება ოფიციალური სახელობითი მოწვევა. მოწვევის სათანადოდ გაფორმება და დროულად გაგზავნა წარმოადგენს ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის პასუხისმგებლობას, რომელიც ასევე ვალდებულია შეატყობინოს პარტნიორ დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ;
4. პარტნიორი დაწესებულების სტუდენტი გაცვლით პროგრამას სწავლობს /გადის სტაჟირებას თანამშრომლობის შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;
5. პარტნიორი დაწესებულების სტუდენტი, ბნსუ-ში გაცვლითი პროგრამით სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, ბნსუ-ს რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე;
6. გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ ბნსუ-ს მიერ გაიცემა დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საგამოცდო უწყისიდან (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული თანამშრომლობის შეთანხმებით);
7. სტაჟირების დასრულების შემდეგ ბნსუ-ს მიერ გაიცემა დამადასტურებელი დოკუმენტი (შეთანხმებული ფორმის სერტიფიკატი, მოწმობა, ცნობა ან სხვ., რაც არის გათვალისწინებული თანამშრომლობის შეთანხმებით).

**მუხლი 7. დანართები**

1. წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე. წინამდებარე დოკუმენტის დანართია:  
დანართი №01 - გაცვლითი პროგრამის აღწერილობა.

**მუხლი 8. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №13			
ნდ №2-010102/13	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	5-8



მგ-2-№09-10-03.01.2023

დანართი №01

**ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისა (საქართველო) და  
..... გაცვლითი პროგრამის აღწერილობა**

<b>ინფორმაცია გაცვლითი პროგრამის პარტნიორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ</b>			
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო, ბათუმი) Batumi Navigation Teaching University Ltd (Georgia, Batumi)		დასახელება ორიგინალის/ინგლისურ ენაზე (ქვეყნის მითითებით) დასახელება ქართულ ენაზე (ქვეყნის მითითებით)	
საკონტაქტო ინფორმაცია	თამარ მეფის გამზირი №38, ქ. ბათუმი, საქართველო	საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი (ქართულად, ორიგინალის/ინგლისურ ენაზე)
	tel.: +0422 29 25 25; 29 32 32		tel.:
	E-mail: <a href="mailto:info@bntu.edu.ge">info@bntu.edu.ge</a> Web page: <a href="http://www.bntu.edu.ge">www.bntu.edu.ge</a>		E-mail: Web page:

<b>პროგრამის განხორციელების საფუძველი</b>				
ინფორმაცია მემორანდუმის/ხელშეკრულების შესახებ				
<b>პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობა</b>				
მიეთითება პარტნიორ დაწესებულებაში სწავლის ხანგრძლივობა				
<b>პროგრამაში მონაწილე სტუდენტები</b>				
ინფორმაცია ბნსუ-ს რომელი პროგრამის (განათლების საფეხურის მითითებით) სტუდენტებისთვის არის გათვალისწინებული გაცვლითი პროგრამა.				
<b>პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა</b>				
ინფორმაცია ბნსუ-ს და პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნების შესახებ				
<b>პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სტატუსი</b>				
გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებთან მიმართებაში ბნსუ იცავს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის (მ. 49 <sup>2</sup> , მ.3,4) მოთხოვნებს, კერძოდ: „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაუმეგებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება“.				
<b>პარტნიორ დაწესებულებაში სწავლა</b>				
საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის დასახელება (განათლების საფეხურის მითითებით)	სწავლების ენა	მისაღები კრედიტები	
<b>კრედიტების დაგროვების სისტემები</b>				
ინფორმაცია ბნსუ-ს და პარტნიორი დაწესებულების კრედიტების დაგროვების სისტემების შესახებ (ამ სისტემების თავსებადობის აღწერით)				
<b>სასწავლო კურსები / პროგრამის სხვა კომპონენტები</b>				
#	პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსი	ECTS	ბნსუ-ს პროგრამის მიზნებისთვის აღიარებული სასწავლო კურსი	ECTS
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				
8.				
<b>შეფასების სისტემების თავსებადობა</b>				



პარტნიორ დაწესებულებაში მოქმედი სისტემა			ბნსუ-ში მოქმედი 100 ქულიანი სისტემა		
დადებითი შეფასებები:			დადებითი შეფასებები:		
	A		91-100	A	ფრიადი
	B		81-90	B	ძალიან კარგი
	C		71-80	C	კარგი
	D		61-70	D	დამაკმაყოფილებელი
	E		51-60	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება (Fail):			უარყოფითი შეფასებები:		
	F		41-50	Fx	ვერ ჩააბარა
			0-40	F	ჩაიჭრა
<b>პარტნიორ-დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება</b>					
<p>პარტნიორ დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების და შეფასებების) აღიარება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ხდება ავტომატურად ზემოთ მოცემული სქემის შესაბამისად, სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საქართველოში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაზე პარტნიორ დაწესებულებაში მიღებული შეფასებების გადაყვანა მოხდება ზემოთ მითითებული შეფასებების შესაბამისობის ცხრილის გამოყენებით.</p>					

ფაკულტეტის დეკანი	_____	_____	_____
	სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი
პროგრამის ხელმძღვანელი	_____	_____	_____
	სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	_____	_____	_____
	სახელი, გვარი	ხელმოწერა	თარიღი



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი